



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

**პროექტის სახელწოდება:** საქართველოს ეროვნული პლატფორმის როლის გაძლიერება ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე

**ხანგრძლივობა:** 02/01/2018 – 31/12/2018

**მთლიანი ბიუჯეტი:** 44,444.44 €

**ევროკავშირის კონტრიბუცია:** 90.00 %

**პროექტის ნომერი:** 392816

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ლიბერალური აკადემია -  
თბილისი

**პროექტის ტიპი:** გრანტი

**სტატუსი:** მიმდინარე

პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია და ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა საქართველოში ასოცირების ხელშეკრულების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეფექტური განხორციელების მიღწევის მიზნით

**კონკრეტული მიზნები:**

- პლატფორმის წევრი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში
- საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით
- ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გაძლიერება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად

- პლატფორმის წევრი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში
- ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმასთან აქტიური თანამშრომლობა
- რეგიონული სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერების მიზნით პლატფორმის რეგიონული წარმომადგენლობებთან თანამშრომლობა, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან უკეთესი თანამშრომლობის გზით.

### აქტივობები:

- ყოველწლიური საერთო კრება
- სამუშაო ჯგუფის/ქვეჯგუფების შეხვედრები,
- საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები
- სექტორალური შეხვედრები
- ტრიალოგი
- პლატფორმის სამოქმედო გეგმისა და კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება
- პროფკავშირებთან და დამსაქმებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობა
- ტრენინგი პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისთვის: მონიტორინგი და კანონპროექტების სამართლებრივი ანალიზი (სკრინინგი)
- რეგიონალური საინფორმაციო შეხვედრები
- მეხუთე წარმომადგენლობის დაარსება აჭარის რეგიონში
- საინფორმაციო ბიულეტენის შემუშავება
- მედიასთან თანამშრომლობა